# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— ხუთშაბათი, 29 ივნისი 1900 წ. № 1166

**გაზეთის ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**

## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)
**გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.**
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:
1 წლით 6 თვით 3 თვით
10 მანეთი 6 მან. 4 მან.
სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე)
**გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.**
გაზეთის ფასი გაგზავნით:
1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით
6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ
სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

**ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.**

**გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

### მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის საქალაქო პოლიციის მოხელე ივ. საყვარელიძე დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან თანახმად თავისავე თხოვნისა.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 28 ივნისს, მეშვიდე ცესარევიჩის დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების წლის თავზე, სიონის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. მწირველი ბრძანდებოდა გორის ეპისკოპოსი ლეონიდე. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა უფროსნი მოხელენი, თავად აზნაურობის და ქალაქის წარმომადგენელნი და დიდ ძალი საზოგადოება.

✦ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და თანხმა გახდა, რომ ტფილისის საბუღალტო ინსტიტუტში ორი სტიპენდია დაარსდეს დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე, სახსოვრად მისის 50 წლის სამსახურის იუბილეისა.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში გუშინ, 28 ივნისს, საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშნული იყო 4 სოფლის მამული და ოთხივე მამული გაიყიდა. ამ მამულებზე ირიცხებოდა თავნი ვალი 7.498 მან. 75 კაპ., ხოლო სარგებელი 267 მან. 24 კაპ.

✦ 6-სა და 8 ივნისს მოსულ სეტყვას მეტად დაუზარალებია ტფილისის მაზრა. სეტყვასა და ნიაღვარს სრულიად გაუფუჭებია ყანები, ბაღები და ვენახები ლილო, მარტმყოფის, ენაგეთის, წინკარის, სამშვილდის, დალეთხაჩინისა და ბელი-კლიუჩის საზოგადოებათა სოფლებში. მცხოვრებთა ზარალი ძალიან დიდია; დაახლოვებით ზარალი ორ სოფლის საზოგადოების ასეა გამოანგარიშებული: ლილოს საზოგადოებას მოსვლია 6255 მან. ზარალი და მარტმყოფისას—2700 მანეთის. დანარჩენების ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი.

✦ საქართველოს მე-14 გრენადერთა პოლკს 200 წლის იუბილეი ქალაქ ტფილისის მცხოვრებთა მაგიერ დეპეშით მიულოცა ქალაქის თავმა გ. გ. ევანგულოვმა. პასუხად მას მოუვიდა პოლკის უფროსისაგან შემდეგი დეპეშა: „მთელის პოლკისაგან ვუგზავნი ტფილისის ყველა მცხოვრებთ გულწრფელ მადლობას გულითად მილოცვისათვის და კეთილ სურვილების გამოცხადებისათვის.“

✦ 27 ივნისს, ამიერ კავკასიის შეიხ-ულ-ისლამმა მიჰმართა ქალაქის თავს გ. გ. ევანგულოვს შემდეგის თხოვნით: შარშან ქალაქმა დააარსა ხარფუხში პირველ-დაწყებითი სკოლა; ხარფუხში უმეტესად მაჰმადიანნი სცხოვრობენ და ამიტომ საჭიროა სკოლის გამგეთ თათრული ენის მცოდნე მასწავლებელი ქალი დაინიშნოსო, რათა სკოლას შეეძლოს ნამდვილის სამსახურის გაწევა მცხოვრებთათვისო.

✦ ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებელთა სამოსწავლო კომისიამ, 27 ივნისის სხდომაზე, ხარფუხის სასწავლებლის გამგეთ, თანახმად შეიხ-ულ-ისლამის ზემოყვანილ თხოვნისა, აირჩია ქბ. ჩაქოვანისა, რომელსაც კარგად სცოდნია თათრული ენა. მასწავლებლად კი ამ სკოლაში დაინიშნა ქბ. ხშიადაშვილი.

✦ საქალაქო პირველ დაწყებით სასწავლებლის მასწავლებლად ამ დღეებში არჩეულმა მასწავლებელ ქალმა ქბ. ქითოევისამ უარი განაცხადა სამსახურზე. მის მაგიერ სამოსწავლო კომისიამ აირჩია ქბ. პარუნ-სარქისოვისა.

✦ ტომსკის უნივერსიტეტში წელს გიმნაზიელების გარდა მიიღებენ აგრეთვე სასულიერო სემინარიებში კურს-დამთავრებულთ. ამათ კურსი გათავებული უნდა ჰქონდეთ პირველ ხარისხით და გარდა ამისა ლათინურში და რუსულში დამატებითი ეგზამენები უნდა დაიჭირონ.

✦ უმაღლესი ბრძანებით დაარსებული საგანგებო კომისია აცხადებს, რომ ქ. ტრაპეზუნდში (შავ ზღვაზე, ოსმალეთში) შავი ჭირი გაჩნდაო. ამიერ კავკასიისა და ოსმალეთის საზღვრებზე გაძლიერებულ იქმნა სასანიტარო ზედამხედველობა.

✦ გზათა სამინისტროს განუზრახავს შეაკეთოს საქართველოს სამხედრო გზა, რათა უზრუნველ ჰყოს იგი ზვავებისაგან, რომელნიც ხშირად სპობენ ამ გზაზე მიმოსვლასა და საქონლის გადაზიდვას. უმთავრესი სამუშაო იქმნება—ნახევარ გვირაბების გაკეთება, რომელნიც ზვავებს აცდენენ გზის ლიანდაგს.

✦ სოხუმში ამ ჟამად იხილავენ პროექტს სანიმუშო საგანგებო სამეურნეო ფერმის დაარსების შესახებ.

✦ ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორი აცხადებს, რომ წელს ინსტიტუტში შესვლის მსურველთათვის ეგზამენები დაიწყება 26 აგვისტოს. ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში ვაკანსია მხოლოდ 1-ლ კლასშია, რომელში შესვლის მსურველთათვის ეგზამენი დაიწყება 28 აგვისტოს.

✦ მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებას გარდაუწყვეტია გამართოს მოსკოვში მომავალ წლის აპრილში ყოვლად რუსეთის გამოფენა საკლავ საქონლისა, ღორებისა და ცხვრებისა.

✦ ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უცხადებს შემდეგ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ზემოხსენებულ საზოგადოებას წიგნები და ტანთსაცმელი. ბ-ნ ივანე როსტომაშვილს, რომელმაც შემოსწირა შემდეგი ქართული წიგნები: მეთევზის შვილი, შრომა და სიმდიდრე, როლანდი, დროს გონს მოვიდეთ, ფუტკარი, ლინპარდი და გერტრუდა, ხტუნია ციყვუნია, ცივილიზაციის ისტორია—ბოკლისა, შიო თავადი, როგორ ცხოვრობენ ჩინელები, ცხენის წურბელა, მაჰპადი, დარვინიზმი (1 და 2 წიგნი), სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, აღზრდა შვილისა, სწავლა-განათლების ისტორია, ტყის გონიერი მოვლა-მოშენება, ქართული ანბანი, საბოსტნე მცენარეები, საქონლისათვის ბალახები, სოფლის მოლვაწენი, ვენახების გაშენების ახალი წესი, ჩვენს ქალებს, მეექვსე ნომერი, Новая постановка педагогическаго дѣла, ქართველთა ტომი (ალბომი), საყ-

მაწვილო საჩუქარი. პირველი ოთხი წიგნი რუსულ-ქართული ლექსიკონისა—სულ 32 წიგნი; ბ-ნ შეტრე ყიფიანს, რომელმაც შემოსწირა ფრანგულს ენაზე: სრული თხზულება სკრიბისა სურათებით, არფრედ დე-მუსსე (ორი ტომი) და გრიგოლ ადამის მე ყარანგოზიშვილს, რომელმაც შემოსწირა ტანთსაცმელი: ორი ქართული კაბა, ორი ქართული განიერი შალვარი, ერთი აბრეშუმის ახალუხი და ერთი პერანგი აბრეშუმის გულისპირით.

✦ სოფ. ფარცხმიდან (ოზურგეთის მაზრა) გვწერენ: გასულ წლებში ჩვენ სოფელში უთუოდ მძვინვარებდა ხოლმე ესა თუ ის გადამდები სენი: ხან ყვავილი გვაწუხებდა, ხან კისერა, ხან ქუნთრუშა. წელს არც გაზაფხულზე, არც ზაფხულის დამდეგს არავითარი სენი არ გვსტუმრებია და მცხოვრებნი კმაყოფილებით შეუდგნენ მუშაობა-მეცადინეობას თავის კეთილდღეობის აღდგენისათვის. საუბედუროდ ჩვენი კმაყოფილება ხანმოკლე შეიქნა: მალე სოფელში დაბრუნდნენ სამუშაოდ აქედან ქალაქ-დაბებში გასულნი ახალგაზდანი და ჩამოიტანეს მუცლის რაღაც ავადმყოფობა. ეს სენი გადამდები აღმოჩნდა და გავრცელდა სოფელში; თუმცა ჯერ არავინ უმსხვერპლია, მაგრამ ძნელია და შეაწუხა სოფლელები. საექიმო შველას თუმცა მოკლებულნი არა ვართ (ჩოხატაურში, რომელიც ჩვენ სოფელს აკრავს, აფთიაქიც არის და ქსენონიც, რომელშიაც ერთი ექიმი და სამი ფერშალია), მაგრამ დიდის გაჭირვების და ხელმოკლეობის გამო საექიმო დახმარებაც ფუჭად მიდის. მიუხედავად ამისა, სოფლელები ემადლიერებიან ხსენებულ ქსენონის ექიმსა და ფერშლებს და იმედი აქვთ, რომ ისინი არ მოაკლებენ გაჭირვებაში მყოფ სოფელს პატრონობას.

✦ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს დასწიოს რკინის გზებზე ტარიფი ცემენტის გადასაზიდავად. საქმის განხორციელებისთვის არჩეულია საგანგებო კომისია.

✦ 27 ივნისს, სათავად-აზნაურო ბანკში გაიყიდა 1 ფოთისა, 1 თელავისა, 1 განჯისა, 1 ქუთაისისა და 2-რიც ბათუმის მამული, სულ 6. ამ მამულებზე ირიცხებოდა თავნი ვალი 50910 მ. 58 კ.; ხოლო სარგებელი 1214 მ. 79 კ. მეორე ვაჭრობამდის ბანკს დარჩა 1 მამული ფოთში თავნის ვალით 15754 მ. და 56 კ. („ივერია“).

✦ 27 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ოზურგეთის მაზრის სოფელ ამაღლების მცხოვრების გლეხის ვლადიმერ ანტონის ძის ქორიძისა, რომელსაც ბრალად დაედო ქალაქ სოხუმში წარსულ 1899 წლის 15 აგვისტოს ქვრივის მარიამ კორონაძის ძალით ნამუსის ახდა. პირველად ეს საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც აღნიშნულ ბრალდებაში დამნაშავედ იცნო ქორიძე და მიუსაჯა ყოველივე ღირსების ჩამოხდა და საუკუნოდ ციმბირში გადასახლება. ქორიძემ ოლქის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც, 27 ამ ივნისს განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ვლადიმერ ქორიძე და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ 26 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სოფ. მეტეხის (გორის მაზრა) მცხოვრების აზნაურის ილია თუხარელისა, რომელსაც ქურდობა დაბრალდა. საოლქო სასამართლომ შარშან დამნაშავედ სცნო თუხარელი იმაში, რომ მან 1898 წ. 28 დეკემბერს გატეხა თავის მეზობლის დიმიტრი გოჭარაძის სარდაფი და მოიპარა იქიდან სამი კოკა ღვინო (300 ბოთლი) და ხუთი კოდი (20 ფუთი ხორბალი) და მიუსაჯა ამის გამო ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და საპყრობილეში დაპატიმრება ერთის წლით. სასამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ეს განაჩენი საოლქო სასამართლოსი.

✦ **ტფილისის მეფურნეების** რწმუნებულს—გიორგი სხირტლაძეს, თხოვნა მიუცია ტფ. პოლიცმეისტრისათვის იმის შესახებ, რომ ტფილისის ზოგიერთ პურის მცხობელნი უწესოთ აწარმოებენ თავის საქმესო. სახელდობრ, ჰქირაობენ მსახურთ, რომელნიც კარ-და-კარ დადიან და ჰყიდიან ცუდათ გამომცხვარ პურს უფრო მეტად, ვიდრე ისყიდება თვით ფურნეებში; გარდა ამისა, უწმინდურად ინახვენ გამომცხვარ პურსაც. ამ-გვარი უწესოება ზარალს აძლევს მეფურნეებს და ამიტომ რწმუნებული თხოულობს, რომ აეკრძალოს პურის-მცხობელთ კარ-და-კარ გზავნა მსახურებისა და უწმინდურად პურის შენახვა

ტფ. პოლიცმეისტერმა თხოვნა ქალაქის თავს გაუგზავნა.

✦ საქალაქო სამოსწავლო კომისიამ დაადგინა შემწეობად მისცეს პროფესიონალურ სასწავლებლის მასწავლებელს ზნამენსკაიას 50 მან., ეკონომისას—35 მან. და მსახურს შახოვს—10 მან.; აგრეთვე სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელს ბ. კანდელაკს—50 მანეთი.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას ეხლავე გაიწმინდოს რამდენიმე ქუჩა,ავსილი ნაგავითა და უწმინდურებით და აგრეთვე შეკეთდეს ზოგიერთი მაინც, რომელნიც სრულიად უვარგისი შეიქნენ.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**27 ივნისი**

**ნიუ-იორკი.** აქაურს სამხედრო მმართველობას ბრძანება მოუვიდა, დაუყოვნებლივ გაგზავნოს კუბის კუნძულისაკენ გემი, რომელმაც იქიდან ამერიკის ჯარი უნდა გადაზიდოს ჩინეთში. ჯარი სან-ფრანცისკოთი გაიგზავნება.

**კილი.** იმპერატორი ვილჰელმი გემით „ჰოჰენცოლერნით“ წავიდა ბერგენს.

**შანჰაი.** სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა ისევ ჩაიბარა 30 ივნისს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. მთავარ მინისტრად დაინიშნა იუგხუ; ნანკინში გაგზავნა შიკრიკი, რომელიც დღეში 100 მილს მიდის და რომელმაც მადლობა უნდა გამოუცხადოს იანცეს პროვინციების მმართველთ ერთ-

---

## სამეცნიერო ცნობა

**ყვავილის აცრა და დ—რი ჯენნერი**

### IX*)

თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ მაინც ყოველ წლივ მოდიოდა ამბები ქვეყნების ყოველ კუთხიდგან, რომ ჯენნერის გამოგონება ძლიერ საკეთილოაო. 1812 წელს ანგარიში მოახდინეს და აღმოჩნდა, რომ ჯენნერის მიერ გამოგონებულის აცრის საშუალებით ზოგიერთ ქვეყნებში ყვავილის ხსენება სრულიად აღმოიფხვრაო, როგორც, მაგალითად, ჰავანში, ესპანიის სამხრეთ ამერიკის ახალშენებში, მილანსა და ვენეციაში. ამ დროს საფრანგეთში 2,671,662 კაცისათვის აეცრათ ყვავილი და მათ შორის ბოლოს მხოლოდ შვიდს დაემართა ბუნებრივი ყვავილი. იმავე წელს, რუსეთის სამეფო კარის ექიმმა კრიჩტონმა აუწყა ჯენნერს, რომ 1804 წლიდან 1812 წლამდე რუსეთის მაზრებში 1,235,597 ყმაწვილს აუცრეს ყვავილიო. თუ მართალია, რომ წინად ყოველ 7 ყმაწვილში ერთი უსათუოდ ყვავილის მსხვერპლი ხდებოდა ხოლმე, მაშასადამე ეხლა ცხადია, რომ ჯენნერმა 178,514 ყმაწვილს სიცოცხლე დაუბრუნა დროებით. იმპერატორი ალექსანდრე I მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ ახალ-ნაირი ყვავილის აცრის გავრცელებაში. აი, მაგალითად, 1811 წლის 3 მაისს გამოსცა ბრძანება, რომ რუსეთის ყოველ მაზრებში დაეარსებინათ ცალ-ცალკე ყვავილის ასაცრელი სახლები. იმ დროს რუსეთის ხალხი იმდენად გაუნათლელი და უმეცარი იყო, რომ ყვავილის აცრა ეშმაკების მოვლინებად მიაჩნდა. ამისათვის იყო, რომ მაშინ რუსი თავის მოკვლას უფრო ადვილად რჩეობდა, ვიდრე ყვავილის აცრას. მთავრობამაც კარგად იცოდა ეს, და ძეირადაც დაჯდა ამ ცრუ-მორწმუნოებასთან ბრძოლა. სხვათა შორის გაანდვეს მღვდლებს, რომ მათ მაინც ჩაეგონებინათ ხალხისათვის აცრის სარგებლობა. ამნაირად, რუსეთში ყვავილის აცრა ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს.

ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს ყველა დარწმუნდა, რომ თუმცა ჯენნერის მიერ მოგონილი საშუალება ყოველთვის არ იფარავს ადამიანს ყვავილის გადადებისაგან, მაგრამ სიკვდილისაგან ხომ მაინც იფარავს დროებით. სხვა რომ არა იყოს-რა, აცრილ ადამიანს ყვავილი გაცილებით უფრო ადვილად ეკიდება, ვიდრე სულ აუცრელს.

1814 წელს, როცა ნაპოლეონი ომებს მორჩა, მოკავშირე ხელმწიფეებმა ლონდონი ინახულეს. სხვათა შორის, იქ იყო ეკატერინე დიდიც, რომელსაც წარუდგინეს ჯენნერი. იგი მალე მოხიბლა ეკატერინეს ალერსიანმა ქცევამ. ეკატერინემ ბოლოს უთხრა: დ—რო ჯენნერ! თქვენ მეტის-მეტი ბედნიერი უნდა იყოთ: რაც თქვენ კაცობრიობას ამაგი გაუწიეთ, იგი იქნება თქვენთვის ამოუშრობელი წყარო სიამოვნებისა და ბედნიერებისა. ჩემთვის დიდად სასიამოვნოა, რომ თქვენ უკვე მოიპოვეთ სხვა-და-სხვა ერებისაგან მადლობა, ქება და შრომის დაფასებაო.

### X

ამნაირად მიაღწია ჯენნერმა თავის უმთავრეს ცხოვრების მიზანს. ეხლა იგი დამშვიდებულის გულით უყურებდა და სტკბებოდა ამ გამოგონების ნაყოფით. მეტის-მეტი სიხარულით მას სულ დაავიწყდა წინანდელი ტანჯვა, ათასნაირი უსიამოვნება და მტრები. პირ-იქით ეხლა მტრების მაგიერ მოკეთეები გაუჩნდნენ დედა-მიწის ყოველ კუთხეში. საფრანგეთის ერთმა გამოჩენილმა მეცნიერმა კიუვიემ სთქვა: ამ ჩვენს დროში რომ ყვავილის

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1165.

გულებისათვის; მმართველთ დედოფალი წინადადებას აძლევს—მიიღონ ზომები უცხოელთა დაცვისათვის.

**ვილჰელმსგაფენი.** ნავთსადგურში მოვიდა პირველ ესკადრის მეორე დივიზია.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება დეპეშით პრეტორიიდან 26 ივნისს, რომ გუშინ ჰეილბრონში მივიდნენ და ინგლისელთ დანებდნენ: ბლიგნანტი, დიკსონი, უმთავრესი ადვოკატი ვანტერდარი და ორანჟეს რესპუბლიკის საბჭოს წევრი კუპფერბურგერი.

გუშინ გენერალს გეტონს თავს დაესხა ბურების დიდი ჯარი, მაგრამ გეტონმა ადვილად მოიგერა ისინი.

**კაპშტადტი.** სტატს-სეკრეტარი ბლიგნანტი და მისი თანაშემწე დიკსონი, რომელნიც დანებდნენ ინგლისელთ, ამბობენ, რომ საჭიროა გაიგზავნოს პრეზიდენტ შტეინთან გავლენიანი მოხელენი, რომლებიც ურჩევენ შტეინს—დაჰნებდეს ინგლისს.

**პეტერბურგი.** 27 ივნისს სადგურ ალექსანდროვოზე ჩამოვიდა ჟიტომირიდან დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე.

27 ივნისს ხოლმ ლიუბლინსკიდან მობრძანდა ახალ პეტერგოფში ხელმწიფე იმპერატორი.

27 ივნისს იაპონიის პრინცი კანინი წავიდა პეტერგოფს, სადაც სადარბაზოთ იყო მათ უდიდებულესობებთან.

**შეცდომათა გასწორება.** გუშინდელ დეპეშებში შემდეგი შეცდომებია ტელეგრაფის მეოხებით: ბრიუსელიდან გამოგზავნილს დეპეშაში ნათქვამია, რომ პრინცის ჩეინგის ჯარი **ჩანეთში** მივიდაო; უნდა იყოს **შეკანში.** უკანასკნელ დეპეშაში ლონდონიდან ნათქვამია, რომ ჩინეთში გაიგზავნა **422.840** პატრონი; უნდა იყოს **4.228.400.**

**28 ივნისა**

**პეტერბურგი** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანებანი: ორმოც და ათ მანეთბანი ქაღალდის ფულის გამოცემის შესახებ; ვაჭრობის დეპარტამენტის გადაკეთების შესახებ, რომლით: 1) ფინანსთა სამინისტროში უნდა დაარსდეს განყოფილებანი სავაჭრო-სამრეწველო, საზღვაო ვაჭრობის და სწავლა-განათლების; 2) განყოფილებათა საქმეების მართვის გამგეობისთვის დაარსდეს თანამდებობა ფინანსთა მინისტრის მესამე თანაშემწისა და გაუქმებულ იქმნას აწ არსებული სავაჭრო-სამრეწველო დეპარტამენტი.

**ტიანცზინი.** როგორც ჩინეთის წყაროებიდან სჩანს, უცხოელთ პეკინში დაიპყრეს მეოთხე პრინცის სასახლე, რომელიც ბრიტანიის საელჩოს გადასწვრივ არის. მკვიდრმა ქრისტიანებმა თავი შეაფარეს აქ, დევნილებმა „დიდი მუშტი“საგან.

**ლონდონი.** პალატა. ბარტლეტი ჰკითხულობს, რუსეთის წინააღმდეგი მოქმედება ხომ არ არის მიზეზი იმისა, რომ იაპონიამ ამბოხების დაწყებისთანავე არ გამოგზავნა ჩინეთში საკმარისი ჯარები წესიერების აღსადგენათ. ბროდრიკი უპასუხებს, რომ მთავრობამ არაფერი იცის იმის შესახებ, თუ ჩინეთის საქმეებში რუსეთი დანარჩენებთან სრულის თანხმობათ არ მოქმედებს. შემდეგ ბარტლეტი ჰკითხულობს, ყველა სახელმწიფოთა თანხმობა არის საჭირო, რომ იაპონიამ ჩინეთში ჯარები გაჰგზავნოს და მიიღო თუ არა მან ასეთი თანხმობა სახელმწიფოთაგანო. ბროდრიკი უპასუხებს, რომ იაპონიას არავითარი პირობები არ მიუცია არავისთვის ჯარების გაგზავნის შესახებ. ტაკუში ჯარის მომატების შესახებ ინგლისსა და იაპონიას შორის მოლაპარაკება დაიწყო 31 მაისს და ჯერაც არ დასრულებულა. 9 ივნისს ინგლისის მთავრობამ მისწერა ტოკიოში მყოფ თავის რწმუნებულს შეეტყობინებინა იაპონიის მთავრობისათვის პეკინში საელჩოების საშიში მდგომარეობის შესახებ და დაერწმუნებინა იაპონიის მთავრობა, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლად გაეგზავნა მას ჯარები ინდოეთიდან ჩინეთში.

ბრიტანიის ელჩის მაკდონალდისაგან 12 ივნისამდე პეკინიდან მოვიდა ცნობები. ის იტყობინებოდა რომ პრინც ჩჟინთან 14 მაისს ლაპარაკის ჰქონდა. პრინცი ირწმუნებოდაო, რომ იგი მფარველობას უწევს უცხოელთ, მაგრამ მაინც გაგზავნილ იქმნა რაზმი საელჩოს დასაცველად, თუმცა მაშინ საელჩო საშიშ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.

**მოსკოვი.** მოწმებს ჩვენება ჩამოერთვა. მამონტოვის შეპყრობის შესახებ შემდგარი ოქმიდანა სჩანს, რომ მას შეპყრობის დროს ჰქონია ზედა რევოლვერი, საზღვარგარედ წასასვლელად პასპორტი,—მოწმობა, რომლითაც სჩაჲნდა, რომ მას საზღვარ გარეთ ფული გაეგზავნა, უფასო ბილეთი საზღვარ გარეთ რკინის გზებისა და შემდეგ ბარათი: „მეტი ცდა საჭირო აღარ არის, მივდივარ იმ რწმენით, რომ არავისთვის განზრახბოროტება არ მიქნია, ისინი კიდევ, ვისთანაც რაიმე სიკეთე მიმიძღვის, მომიგონებენ ხოლმე უეჭველია. ფარისევლობა არას დრო არ ჩამიდენია.“ გამოაშკარავდა, რომ ბარათი ადრევე ყოფილა დაწერილი. პასპორტი და ბილეთი—უვარგისები გამოდგნენ. რევოლვერის ტარება ჩვეულებად ჰქონია. ხვალ—ექსპერტები წარადგენენ თავიანთ დასკვნას.

**ბერლინი.** იტყობინებიან, რომ საზღვაო უწყებამ მისწერა სადაც ჯერ არს დაამზადონ 5 ახალი სანალმო გემი ჩინეთში გასაგზავნად.

**პარიზი.** პალატამ ხმის უმეტესობით მიიღო კითხვა $14^1/_2$ მილიონი სესხის შესახებ ჩინეთში გასაგზავნ ჯარები დასამზადებლად.

**პარიზი.** სტატს-სეკრეტარმა ბიულოვმა გამოუცხადა მინისტრს დელკასსეს ულრმესი მადლობა თავისი იმპერატორის მხრივ შაბათს პალატაში კეტელერის შესახებ წარმოთქმულ სიტყვისათვის.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენტო“-ს წარმომადგენელს ჰქონდა ლაპარაკი ჩინეთის საელჩოს ატაშესთან. ატაშეს უთქვამს, რომ ეხლანდელ არეულობაში ბრალი არ აქვს არც ქვრივ იმპერატრიცას და არც ჩინეთის მთავრობას. არეულობა მთლიანათ ტუანის ბრალია. ჩინელები არ თანაუგრძნობენ „დიდი მუშტის“ მოძრაობას და იმედი აქვთ, რომ მთავრობა მოსპობს ამბოხებას. საფიქრებელია, რომ პეკინში არეულობა კლებულობს. ჩჟინგის ჯარი მცირე ჰყავს და ვერ გაჰბედავს ბრძოლას. მას ურჩევენ, ბრძოლა არ დაიწყოს, მინამ მაშველი ჯარი არ მოუვა. ის ყოველ ღონეს ხმარობს უცხოელთა დასაცველად. ამბავი,—იმპერატორმა და იმპერატრიცამ თავი მოიწამლესო, სარწმუნო არ არის.

**ვაშინგტონი.** სტატს-სეკრეტარმა გეიმ მიჰმართა ამერიკის უცხოეთში მყოფ ყველა წარმომადგენლებს 20 ივნისს ცირკულიარით, რომელშიც ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები ჩინეთის არეულობას სრულს ანარქიათ აღიარებენო. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა პროვინციების მმართველების ხელში გადავიდა. ვიდრე ეს უკანასკნელი არ მიემხრობიან მეამბოხეთ, არამედ ცდილობენ დაიცვან უცხოელნი მეამბოხეთაგან, ამერიკა მათ ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებად სთვლის. რეზიდენტის განზრახვაა, იმოქმედოს შემდეგშიაც დანარჩენ სახელმწიფოებთან თანახმად უცხოელთა დასაცველად და წესიერების აღსადგენად. ამერიკა ცდილობს აღდგენილ იქმნას ჩინეთში წესიერება და მიენიჭოს მას ყოველივე თავისი უფლებები და დაცულ იქმნას მეზობელ სახელმწიფოებთან ყოველივე ხელ-შეკრულობა, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საერთა-შორისო დადგენილებებს.; ამასთანავე ამერიკა იმ აზრისაა, რომ სახელმწიფოებს თანასწორი უფლებები უნდა ჰქონდეთ ჩინეთის ყველა ნავთსადგურებში ვაჭრობისა.

**შანჰაი.** ძნელია პეკინიდან ცნობების მიღება, რადგანაც ამბის გაგზავნა უცხოელ ელჩებს რკინის გზის დირექტორ შენის ნება დაურთველად. არ შეუძლიანთ შენსა

---

ღრის მეტი არაფერი გამოეგონათ, მაინც საკმაო იყო, რომ იგი ბრწყინვალე დროდ ჩარიცხულიყო და იმ დროის ყველა საუკეთესო კაცები გრძნობდნენ ამ სიტყვების სიმართლეს!

ჯენნერი ეხლაც ბერკლეაში სცხოვრობდა; მას ფეხი არ გაუდგამს თავის სოფლიდგან. აქ ნახულობდნენ ხოლმე მას მეგობრები და აქედგან აძლევდა იგი ყველას პასუხს. აქვე განაგრძობდა ჯენნერი თავის მეცნიერულ შრომას.

ჯენნერი ეხლა თითქმის მარტოკა იყო: 1815 წელს უფროსი შვილი მოუკვდა. ხუთი წლის წინად მეუღლესაც გამოეთხოვა საუკუნოდ. უმცროსი შვილები ჯერ კიდევ სასწავლებელში სწავლობდნენ. მხოლოდ ერთი მისი ძმისწული სტეფენი განუშორებლად მასთან ცხოვრობდა.

ბედნიერი იყო ჯენნერი, როცა ამ მყუდროებაში სიამოვნებით სტკბებოდა: არასოდეს არ გასცილდა მას სატახტო ქალაქის ნებივრობაზე. მისი უმთავრესი ზრუნვა ეხლა მეგობრებთან ბაასი, სოფლის მსაჯულობა და მეცნიერული შრომა იყო. მშვენივრად მოეწყო ბოლო დროს ჯენნერი: შესანიშნავად მორთო სახლი, გააშენა ბაღი, დარგო შიგ სხვა და სხვა ყვავილები და მოიშენა საქონელი. ამ ადგილის მახლობლად აქამომდე სდგას ბერკლეის სასაფლაოს ძველი სამრეკლო. ძირიდან თავამდი იგი შემოსილია მწვანე სუროთი, რომელიც ათასნაირად დაგრეხილ-დაკლაკნულია. გამვლელ-გამომვლელნი დიდის მოწიწებით შეჩერდებიან ხოლმე ამ სამრეკლოს წინ და ქუდს იხრიან...

ეს სურო ჯენნერმა დარგო უკანასკნელ დღეებში. დარგვის დროს სთქვა: „ვინ იცის, იქნება ამ სურომ მთელი ჩვენი სამრეკლო დაფაროსო“,—და ეს მართლაც ასე მოხდა.

(დასასრული იქნება)

და ჩინელ სხვაწარჩინებულთ დიდ ძალისმეულელები აქვთ. ჰფიქრობენ, ისინი ეცდებიან ხელი შეუწყონ უცხოელთ მშვიდობიანობის დამყარების საქმეში. აუარებელი ხალხი მიდის არსენალებში სამხედრო სამსახურში ჩასაწერად. მთავრობა, რომელიც იცავს იანცეს, უზრუნველ ჰყოფს იმ უცხოელთ რომელნიცა იქ მუდმივი საცხოვრებელი ბინა აქვთ. არც ერთ სამხედრო გემს არ შეუშვებენ ქალაქში. მხოლოდ ნება მიეცემათ გემებს ნავთ-სადგურზედ გავლისა გზის გასაგრძობათ. თუ რამდენიმე გემი შეგროვდა, მაშინვე, დაატუსაღებენ. შენის წინადადება ჩინელთა თავისუფალ მეომართა რაზმის შედგენის შესახებ, არ იქმნა მიღებული.

**პარიზი.** საფრანგეთის კონსული იტყობინება, ფუჩოუში მშვიდობიანობა ჰსუფევს; ვიცე კონსულმა გამოსცა მოწოდება საზოგადოდ უცხოელთათვის, ამასთან იტყვის, რომ სამხედრო გემების ჯერ-ჯერობით არ მივიდნენ ფუჩოუში

**ლონდონი.** სენეკალიდან იტყობინებიან, რომ რენდლმა დაზვერა მიდამოები და აღმოაჩინა, რომ მტერს დაუტოვებია სენეკალის გარშემო პოზიციები. ეტყობა უმეტესი ჯარი მოწინააღმდეგეთა წავიდა ფიკსბურგში, დანარჩენი რეპივენკსა და ბეთლემში.

რობერტსი იტყობინება დეპეშით პრეტორიიდან, რომ კლემენტსის და პეჯეტის ჯარები მივიდნენ ბეთლემში 24 ივნისს. დევეტი უარს ამბობს იარაღის დაყრაზედ. ირლანდიის პოლკმა ბილო მტრის პოზიცია იერიშის მიტანით და წაართვა უკან სტომბერგთან დატოვებული ზარბაზანი.

**ტიანძინი.** გუშინ ჩინელები მთელი დღე ესროდნენ უცხოელთა მოსახლეებს. ბლომად სახლები დაანგრიეს. ადამიანის მსხვერპლი ცოტაა. ქალებმა და ბავშვებმა თავი შეაფარეს ქალაქის ხაზებს სადგომში. 3 რაზმმა იაპონიის ქვეითა ჯარისამ სამთო ბატარეით და რამდენიმე რუსმა იერიში მიიტანეს ჩინეთის ბატარეიაზედ, მაგრამ ამაოდ. მაშინ გემი „ტერიბლი“-დან დაიწყეს სროლა 12 გირვანქიანზარბაზნისა. მტერმა სროლითვე უპასუხა, ორი ყუმბარა მოხვდა ზარბაზანს და ოდნავ დააზიანა. სროლა განაგრძო საფრანგეთის ზარბაზნებმა. ჩინელები მარჯვედ ესროდნენ. იაპონელთ მოუკლეს ერთი ოფიცერი და ორი ჯარისკაცი, დაუჭრეს 20. ჯერ არ იცო- ან რა ზარალი მოუვიდა რუსებს და ჩინელებს. ტაკუში მოსულ ქალებს და ბავშვებს იაპონიაში ჰგზავნიან.

**პეტერბურგის ბირჟა 27 ივნისს**

| | მყიდველნი. | გამყიდველნი | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მ ი ნ | ი თ | ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | 97¼ | — | — |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98¼ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 295 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | 255 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 195½ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | — | 90½ |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . | — | — | 97¼ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | |
|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. 10 კ. |
| სუკი . . . . . . | » — 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » — 8½ კ. |
| » ღორისა . . . | 1 — 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » — 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | |
|---|---|---|
| ბური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. 5 კ. |
| » » | II | » » » 3½ » |
| » » | III | » » » 3 » |
| ოგიგე თორნისა | I | » » » 5 » |
| » » | II | » » » 4 » |
| » » | III | » » » 3½ » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » » » 6 » |
| » » | II | » » » 4 » |

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

სამგზავრო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. სად., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**სამგზავრო მატარებელი №** 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**სამგზავრო მატარებელი №** 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10 წ. საღ.; შორაპანში ჩადის ღამ. 1 ს.

# განცხადებანი


**სემინარიელი**

ამზადებს შეგირდებს სემინარიისთვის, სასულიერო, სამოქალაქო, სატეხნიკო და სხვა სასწავლებლებისთვის.

2 Кобійскій тупикъ (около Цхнетской ул.), д. № 44.

5—1

**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ჭყონიასაგან**

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

გამოც. გ. ჭყონია